

სს „ჰუალინგ დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

საქართველოს აუდიტორთა
დასკვნის საბჭოს წევრი

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა -----	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა -----	4
ფინანსური ანგარიშგება -----	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები -----	11

სს "ჰუალინგ დაზღვევა"
 ფინანსური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

სს "ჰუალინგ დაზღვევის" მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

პასუხისმგებლობა მოიცავს:

- * ფინანსური ანგარიშგების შედგენას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;
- * მისაღები ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევას და მის თანმიმდევრულ გამოყენებას;
- * გონივრული და წინდახედული გადაწყვეტილებების და შეფასებების მიღებას;
- * ფინანსური ანგარიშგების მომზადებას უწყვეტი საქმიანობის პრინციპით თუკი გარემოებები არ ქმნიან შეუსაბამობას/წინააღმდეგობას.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- * ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და მხარდაჭერაზე;
- * სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად;
- * ამდაგვარი ნაბიჯების გადადგმა გონივრულად მიმართულია კომპანიის აქტივების დაცვისათვის, თაღლითობის და სხვა დარღვევების პრევენციის და გამოვლენისათვის.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით:

დავით კაკაბაძე
 გენერალური დირექტორი

ლია ასლანკაშვილი
 გენერალური დირექტორის მოადგილე

თარიღი: 30.03.2018

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**სს „ჰუალინგ დაზღვევის“ აქციონერებს****ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული დასკვნა****დასკვნა**

ჩვენ ჩავატარეთ სს „ჰუალინგ დაზღვევის“ („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, რომელიც შედგება მნიშვნელოვანი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის შემაჯამებელი მონაცემებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად, ყველა მატერიალური თვალსაზრისით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ პოზიციებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აგრეთვე გვიჩვენებს მის ფინანსურ ეფექტურობას და მის ფულად ნაკადებს წლის ბოლოსათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა მოცემული სტანდარტების მიხედვით აღწერილია ნაწილში: “აუდიტორების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებზე”. საერთაშორისო ეთიკის საბჭოს შესაბამისად, ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან, პროფესიული “საბუღალტრო ეთიკის კოდის” მიხედვით (IESBA Code) იმ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში ჩვენს მიერ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან. ჩვენ განვახორციელეთ სხვა ეთიკური მოვალეობები, ამ მოთხოვნების თანახმად და IESBA -ს კოდექსის შესაბამისად. ჩვენ ვთვლით, რომ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულება ამომწურავია და წარმოადგენს სათანადო საფუძველს მიღებული დასკვნებისათვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის და რომლებიც არ შეიცავენ თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უნარი ფუნქციონირების გაგრძელებაზე როგორც მოქმედმა საწარმომ და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები, თუ ხელმძღვანელობა არ გეგმავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა გარდა ჩამოთვლილისა.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა ვრცელდება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გააკეთოთ დასკვნა, რომ აღნიშნულ ფინანსური ანგარიშებზე არ შეიცავს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს შეხედულებას.

გონივრული გარანტია არის მაღალი დონის გარანტია, მაგრამ არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტი, ჩატარებული საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების (ISA) მიხედვით აუცილებლად აღმოაჩენს მატერიალურ შეუსაბამობას, თუკი ასეთი არსებობს. შეუსაბამობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს თაღლითობის ან შეცდომის საფუძველზე და ითვლება მატერიალურად, თუკი მან ინდივიდუალურად ან კონსოლიდირებულად შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, მიღებულ წინამდებარე ფინანსური ანგარიშების საფუძველზე.

აუდიტის ფარგლებში ISA-ს შესაბამისად, ჩვენ გამოვიყენეთ პროფესიული შეფასებები და შევინარჩუნეთ პროფესიული სკეპტიციზმი აუდიტის ჩატარების განმავლობაში. ჩვენ აგრეთვე:

მოვახდინეთ ფინანსური ანგარიშების მასალების მატერიალური უზუსტობის რისკის შეფასება, მათ შორის გამოწვეული თაღლითობით თუ შეცდომით, შევიმუშავეთ და განვახორციელეთ აუდიტის პროცედურები, მოყვანილი რისკების შესაბამისად და მივიღეთ აუდიტორული მტკიცებულება, რომელიც საკმარისია და წარმოადგენს შესაბამის საფუძველს ჩვენი დასკვნისათვის. რათა არ გამოვლინდეს მნიშვნელოვანი უზუსტობები, თაღლითობით გამოწვეული რისკი უფრო მაღლია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული, რადგან თაღლითობა შეიძლება შეიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, უმოქმედობის და დამახინჯების ფაქტებს და შიდა კონტროლის გადახრას.

მოვიპოვეთ შიდა კონტროლის მექანიზმების შესაბამისობა, დაკავშირებული აუდიტთან არსებული პირობებისათვის სათანადო პროცედურების შემუშავების მიზნით და არა სუბიექტის შიდა კონტროლის პროცედურების ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით.

შევაფასეთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, სააღრიცხვო შეფასებები და მათთან დაკავშირებული წარდგენილი ინფორმაცია.

დასკვნის გამოტანა მენეჯმენტის მიერ უწყვეტობის გამოყენების მიზანშეწონილობაზე ეფუძნება მიღებული საბუღალტრო და აუდიტის შედეგების საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, თუკი არსებობს გაურკვეველობა შემოწმებულ მასალაში, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უწყვეტი არსებობა. არსებითი გაურკვეველობის აღმოჩენისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ აუდიტორულ ანგარიშში შესაბამისი ინფორმაციის ასახვა მოხდეს ფინანსური ანგარიშებში ან თუ ასეთი ინფორმაციის მხილება არაადეკვატურია, შეცვალეთ ჩვენი დამოკიდებულება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტის ანგარიშის შედგენამდე. მიუხედავად ამისა, მომავალმა მოვლენებმა და პირობებმა შეიძლება გამოიწვიონ ჯგუფის არსებობის ან მოქმედების შეწყვეტა.

ჩატარეთ მთლიანობაში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის სისწორის შეფასება, მათ შორის ახსნა, წარმოადგენს თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში ქვემოთ მოყვანილ ტრანზაქციები და მოვლენები სწორ და სამართლიან წარმოდგენას.

ჩვენ ურთიერთობა გვექონდა მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, მათ შორის დაგეგმილი აუდიტის მასშტაბებზე და ჩატარების ვადებზე და აუდიტის მნიშვნელოვან აღმოჩენებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემის ნებისმიერ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე, რომლებიც აღმოვაჩინეთ აუდიტორული შემოწმების მსვლელობისას.

PKF Georgia LLC

თარიღი: 30.03.2018

Address: 61, Agmashenebeli 0102, Tbilisi, Georgia

Tel: +995 32 2 24 30 30

Fax: +995 32 2 293 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkf.com

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

ფინანსური ანგარიშგება

სს "ჰუალინგ დაზღვევა"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში	შენიშვნა 2017	
აქტივები		
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	5	4,307
მთლიანი აქტივები		4,307
ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	9	1
მთლიანი ვალდებულებები		1
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	6	4,300
გაუნაწილებელი მოგება		6
მთლიანი კაპიტალი		4,306
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		4,307

სს "კუალინგ დაზღვევა"
 მოგება-ზარალის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში	შენიშვნა	2017
საპროცენტო შემოსავალი	7	8
მთლიანი შემოსავალი		8
ადმინისტრაციული ხარჯები	8	1
მთლიანი ხარჯები		1
მოგება დაბეგვრამდე		7
მოგების გადასახადის ხარჯი	9	1
წლის მოგება		6

გაბრიელ ბერიძე

სს "ჰულინგ დაზღვევა"
 კაპიტალის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	4,300	-	4,300
წლის მოგება	-	6	6
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,300	6	4,306

გახსთვიან განმარტება

სს "კუალინგ დაზღვევა"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
მიღებული საპროცენტო სარგებელი	8
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(1)
ფულადი სახსრები (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	7
<i>წმინდა ზრდა/(კლება):</i>	
- სხვა ბანკებიდან მისაღებ სახსრები	8
- სხვა ვალდებულებები	(1)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული) ოპერაციული საქმიანობიდან	7
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
ჩვეულებრივი აქციების ემისია	4,300
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული) ფინანსური საქმიანობიდან	4,300
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე	-
ფულის და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	4,307
ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	-
წმინდა ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,307

ყასტი ხირე აფუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება სს “ჰუალინგ დაზღვევისათვის” (შემდგომში “კომპანია”) მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

სს “ჰუალინგ დაზღვევა” დაფუძნდა 2017 წლის 11 დეკემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული გამოშვებული აქციებით და შექმნილია საქართველოს მარეგულირებელი წესების შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია არის სს “ბაზისბანკი”, დაფუძნებული საქართველოში.

აქციონერები	2017	2016
სს „ბაზისბანკი“	100 %	0 %

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა არის სადაზღვევო ბიზნეს ოპერაციების წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანიას აქვს მიღებული სიცოცხლის და არა-სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიები საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურიდან 2017 წლის 27 დეკემბრიდან. კომპანიას აქვს 1 ფილიალი საქართველოში და ყავს 6 თანამშრომელი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დარეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილმდებარეობა

კომპანია დარეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ქეთევან წამებულის გამზირი N1, თბილისი 0103, საქართველო.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის საბჭოს მიერ გამოშვებულ ინტერპრეტირების შესაბამისად. კომპანია აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს საქართველოს სააღრიცხვო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით და მოყვანილია IFRS -თან შესაბამისობაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

კომპანიის ფინანსური წლის დასასრულია 31 დეკემბერი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე იმ პუნქტების გამოკლებით, რომლებსთვისაც მოცემულ შენიშვნებში კონკრეტულად მოყვანილია შეფასების სხვა საფუძველი.

2.2. პრეზენტაციის ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული ერთეულები შეფასებულია ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის ("ფუნქციონალური ვალუტა") გამოყენებით, რომელითაც ოპერირებს კომპანია. წინამდებარე ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ქართულ ლარში ("ლარი"), რაც გახლავთ კომპანიის ფუნქციონალური და პრეზენტაციის ვალუტა.

უცხოური ვალუტის გარიგებები აღირიცხება გარიგების თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ასეთი ოპერაციების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციით წარმოშობილი მოგება და ზარალი, აისახება ანგარიშგების მოგება-ზარალის ნაწილში. ამდაგვარი ნაშთების კონვერტაცია ხორციელდება პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო კურსით. წლის ბოლოსათვის არსებული ძირითადი ვალუტების კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	USD	EURO
2017 წლის 31 დეკემბერი	2.5922	3.1044

2.3. ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

მოქმედ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება გამოიანგარიშება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კვოტირებულ ფასს და სუბიექტის მფლობელობაში არსებული რაოდენობა. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის შთანთქმისთვის და ერთი გარიგების ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების მიცემა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კვოტირებულ ფასზე.

გარიგების ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შექმნას, გამოშვებას ან განკარგვას. ტრანზაქციის ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის

ან ფასდათმობის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

2.4. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ღირებულება. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში ("რეგულარული" ყიდვა-გაყიდვის გარიგებები), აღირიცხება გარიგების დღეს, რომელიც არის დღე, როცა კომპანია კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

2.5. ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (ი) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ანაზღაურების გადაცემა ან (იი) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ არც კონტროლი შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

2.6. სადაზღვევო კონტრაქტი

სადაზღვევო კონტრაქტი წარმოადგენს ისეთ კონტრაქტს, რომლის მიხედვით ერთი მხარე (დამზღვევი) იღებს თავის თავზე დაზღვევის მნიშვნელოვან რისკს მეორე მხარის - პოლისის მფლობელის წინაშე სამომავლო დაუდგენელი რისკის (დაზღვეული შემთხვევა) უარყოფითი გავლენის შემთხვევაში ანაზღაურებაზე დათანხმებით. შეთანხმების მიხედვით შესაძლო პრეტენზიების აკრძალვის დებულება, რომელსაც არ აქვს პრეცედენტი ანგარიშის თარიღისთვის. მოითხოვება აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვატურობის და გადაზღვევის აქტივების გაუფასურების საკითხის შემოწმება. მოითხოვება, დამზღვევის მიერ სადაზღვევო ვალდებულებების შენახვა საბალანსო ანგარიშში მათ დაფარვამდე, გაუქმებამდე ან მათი ვადის გასვლამდე და იკრძალება სადაზღვევო ვალდებულებების კომპენსაცია გადაზღვევის შესაბამისი აქტივების მიმართ და შემოსავლების და ხარჯების გადაზღვევის ხელშეკრულებების თანახმად შესაბამისი სადაზღვევო კონტრაქტთან მიმართებაში ხარჯების და შემოსავლების კუთხით.

2.7. ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხმის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულის ექვივალენტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში წარმოდგენილი გადახდილი თანხები ან შემოსავლები წარმოადგენს კომპანიის მიერ განხორციელებული ფულისა და ფულის ექვივალენტების ჩარიცხვა-გადარიცხვებს, მათ შორის, კომპანიის კონტრაგენტების კომპანიაში არსებულ ანგარიშებიდან გადარიცხულ ან ამ ანგარიშებზე ჩარიცხულ თანხებს. მაგ. სესხის პროცენტის შემოსავლებს ან სესხის ძირს, რომლის ინკასირება ხდება კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ხარჯზე, ან კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხულ გადახდილ პროცენტებს ან სესხის განაცემებს, რაც კლიენტის პერსპექტივიდან ფულსა და ფულად ექვივალენტებს წარმოადგენს.

2.8. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები ექვემდებარება თვითღირებულებით აღრიცხვას, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, საჭიროების შემთხვევაში. მცირე რემონტის და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება და გამოცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

2.9. ამორტიზაცია

მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	50
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებები	1 - 7
ავტომანქანები	5
სხვა	10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის მოსალოდნელი ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

2.10. არამატერიალური აქტივები

შემენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შემენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. კომპანიის მიერ კონტროლირებად უნიკალურ კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუკი შესაძლებელია დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მოზიდვა, რომელიც აღემატება ხარჯებს. ხარჯები, დაკავშირებული პროგრამულ უზრუნველყოფასთან, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაღებისას. კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 10 წელს შეადგენს.

2.11. საოპერაციო იჯარები

იჯარის გარიგებისას როდესაც კომპანია არის მოიჯარე, რომელიც არ ითვალისწინებს საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის მეიჯარიდან კომპანიისთვის გადაცემას, მთლიანი გადახდილი საიჯარო თანხები აღირიცხება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში (საიჯარო ხარჯი) წრფივი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.

საოპერაციო იჯარის ფარგლებში აქტივის იჯარით გაცემისას, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე მისაღები თანხების აღიარება ხდება საიჯარო შემოსავლის სახით, წრფივი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში

2.12. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იგივე ან სხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და პასივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარების გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში, რომელიც არ არის შერწყმა, აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ბალანსები გაანგარიშდება საანგარიშო პერიოდში ან შემდგომში მიღებული იმ საგადასახადო განაკვეთებით მიხედვით, რომლებიც გამოიყენება იმ

პერიოდთან მიმართებით, როდესაც დროებითი სხვაობები რევერსირდება ან გამოიყენება საგადასახადო ზარალის გადატანა. გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა ხდება მხოლოდ კომპანიისთვის ინდივიდუალურად.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვად დროებით სხვაობებთან და გადატანილ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში აისახება იმ პირობით, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლებიდანაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვების განხორციელება.

2.13. საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. კაპიტალში ასახული ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები გადასახადების გარეშე გამოიქვითება შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნამეტი აღირიცხება კაპიტალში აქციის პრემიის სახით.

2.14. შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილის სახით გადაავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის მიღებულ ან გადახდილ ყველა მოსაკრებელს, რომლებიც არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯის და ყველა სხვა პრემიის ან ფასდაკლების განუყოფელი ნაწილი.

ყველა სხვა მოსაკრებლის, საკომისიოს და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების მითითებით, რომელზეც დარიცხვა ხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, მთლიანი გასაწევი მომსახურების პროპორციულად.

მესამე პირთან მოლაპარაკებიდან ან მოლაპარაკებაში მონაწილეობიდან გამომდინარე საკომისიოები და გადასახადები, როგორცაა სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების ან ბიზნესის შექმნა, რომელთა მიღებაც ხდება ძირითადი გარიგების გაფორმებისას, აისახება გარიგების დასრულებისას.

2.15. ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაში

კომპანიაში შემავალი თითოეული სუბიექტის საოპერაციო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც აღნიშნული საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი („ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული სუბიექტის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (როგორც საკურსო შემოსავალს მინუს საკურსო ზარალი). კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილ არაფულად პუნქტებთან დაკავშირებით.

სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა სამართლიან ღირებულებით წარმოდგენილ არაფულად პუნქტებზე აღირიცხება როგორც სამართლიანი ღირებულების მოგების ან ზარალის ნაწილი.

2.16. პერსონალის ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, დაზღვევის ხარჯი, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი დახმარებები დარიცხულია იმ წელს, როდესაც შესაბამის მომსახურებებს უზრუნველყოფენ კომპანიის თანამშრომლები.

2.17. ფინანსური ანგარიშის სტატუსის პრეზენტაცია ლიკვიდურობის მიხედვით

კომპანიას არა აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საოპერაციო ციკლი და აქედან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მიმდინარე და არამიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებს ცალკე-ცალკე არ ასახავს. ამის ნაცვლად აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით.

მოსალოდნელი ამოსაღები ან დასაფარი თანხები 2017

	ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის ვადაში	ანგარიშგები ს პერიოდიდან 12 თვის შემდეგ	სულ
<i>ათას ლარში</i>			
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4,307	-	4,307
სულ აქტივები	4,307	-	4,307
ვალდებულებები			
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება	1	-	1
სულ ვალდებულებები	1	-	1

2.18. ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნების შემდგომი შესწორებები

კომპანიის აქციონერებსა და მენეჯმენტს უფლება აქვთ შეიტანონ შესწორებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოქვეყნების შემდგომ.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასება და მსჯელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომდევნო წლის განმავლობაში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. მენეჯმენტი ასევე იყენებს შეფასებებს, გარდა იმისა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში.

3.1. საგადასახადო კანონმდებლობა

კომპანიის ოპერაციები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის მოგების გადასახადის გაანგარიშება და მოგების გადასახადის რეზერვი აუცილებლად მოითხოვს ხარისხიან შეფასებას და განხილვას. იხილეთ შენიშვნა 9.

გახსენიანი პერიოდი

4. ფინანსური აღრიცხვის ახალი აღნიშვნები

4.1. IFRS 15 შემოსავალი მიღებული კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოქვეყნებულია 2014 წლის 28 მაისს და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს წლიური პერიოდებისთვის).

ახალ სტანდარტს შემოაქვს ძირითადი პრინციპი, რომ შემოსავალი აღიარებულ უნდა იქნას, როდესაც პროდუქტი ან მომსახურება გადაეცემა დამკვეთს გარიგების ფასად. ნებისმიერი კომპლექსური (შეფუთული) პროდუქტი ან მომსახურეობა, რომლებიც განსხვავებულია, ექვემდებარება ცალ-ცალკე აღიარებას და ნებისმიერი ფასდაკლება ან დათმობა საკონტრაქტო ღირებულებაზე უნდა გამოყოფილ იქნას ცალკე ელემენტებად. როდესაც ანაზღაურება იცვლება ნებისმიერი მიზეზით მინიმალური თანხა უნდა აღიარდეს, თუ კი ის არ არის გაუქმების მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ. ხარჯები, გაწეული კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველსაყოფად ექვემდებარება კაპიტალიზაციას და ამორტიზაციას იმ პერიოდში, როდესაც კონტრაქტის სარგებელი იყო გამოყენებული. ახალი სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით კომპანია არ განიცდის მატერიალურ გავლენას.

4.2. IFRS 16 "ლიზინგი" (გამოქვეყნებულია 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდისთვის).

ახალი სტანდარტი ადგენს ლიზინგის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და გამოქვეყნების პრინციპებს. ყველა იჯარა დასაწყისშივე იღებს აქტივის გამოყენების უფლებას და თუ საიჯარო გადასახადი ხორციელდება ხანგრძლივი პერიოდით, აგრეთვე იღებენ ფინანსირებას. შესაბამისად, IFRS 16 გამორიცხავს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას როგორც მოითხოვს IAS 17 და ამის ნაცვლად შეჰყავს ერთიანი მოიჯარის აღრიცხვის მოდელი. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და პასივები თითოეულ იჯარაზე, რომლის ვადა აღემატება 12 თვეს, გარდა დაბალი ღირებულების მქონე აქტივებისა და (ბ) საიჯარო აქტივების ამორტიზაცია საიჯარო ვალდებულებების შემოსავლისგან განცალკევებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. IFRS 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს IAS 17-ში. შესაბამისად მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ ლიზინგს და აღრიცხავს იჯარის ამ ორ ტიპს ცალ-ცალკე. ამ ეტაპზე ჯგუფი განიხილავს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4.3. IFRS 17 "სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოქვეყნებულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის, 2021 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდისთვის).

IFRS 17 ანაცვლებს IFRS 4-ს, რომელმაც კომპანიები უზრუნველყო ნებართვით, სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვიანობის წარმოებაზე არსებული პრაქტიკის გამოყენებით. ამის შედეგად ინვესტორებისათვის რთული იყო იდენტური სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. IFRS 17 წარმოადგენს ერთიან პრინციპს, დაფუძნებულს საზღვევის ყველა ტიპის კონტრაქტის აღრიცხვაზე, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტებს, რომლებიც გაააჩნია დამზღვევს. ეს პრინციპი მოითხოვს კომპანიის სადაზღვევო კონტრაქტების აღიარებასა და შეფასებას შემდენიარად: (ი) მომავალი ფულადი ნაკადების (ფულადი შემოსვლების ნაკადები) რისკის გათვალისწინებით დაკორექტირებული მიმდინარე ღირებულება, რომელიც მოიცავს ფულადი ნაკადების შესრულებაზე სრულ მისაწვდომ ინფორმაციას ისეთნაირად, რომ შეესაბამებოდეს დაკვირვებულ საბაზრო ინფორმაციას; დამატებული (თუ კი ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივს წარმოადგენს) (იი) თანხა, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტების ჯგუფის გამოუმუშავებელ მოგებას (კონტრაქტის მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში რომლის მსვლელობისას ისინი უზრუნველყოფენ სადაზღვევო კომპენსაციას და თავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდა წამგებიანი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. ამჟამად კომპანია აკეთებს ახალი პრინციპის გავლენის შეფასებას საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4.4. IFRIC 22 "ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი განხილვა" (გამოქვეყნებულია 2016 წლის 8 მდეკემბერს და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდისთვის).

წინამდებარე ინტერპრეტაციაში განიხილება, თუ როგორ დავადგინოთ თარიღი უცხოურ ვალუტაში წარმოებული გარიგებისას ახალი IAS 21-ი პრინციპის გამოყენებისას. ინტერპრეტაცია გამოყენებადია, როდესაც საწარმო წინასწარ ღებულობს ან უხდის გასამრჯელოს უცხოურ ვალუტაში გამოხატული კონტრაქტებიდან. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს, რომ ტრანზაქციის თარიღად ითვლება, დღე, როდესაც საწარმოო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არა-ფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვება გადახდის ან წინასწარი განხილვის მიღებისას. თუკი არსებობს რამოდენიმე წინასწარი გადახდა ან ქვითარი, ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ კომპანია აღიარებდეს ტრანზაქციის თარიღს თითოეული გადახდისათვის ან წინასწარი განხილვის მიღებისას. ახალი სტანდარტის დანერგვის შედეგად არ არის მოსალოდნელი მატერიალური გავლენა კომპანიაზე.

4.5. IFRIC 23 "გაურკვევლობა მოგების გადასახადის მეთოდების ინტერპრეტაციისას" (გამოქვეყნებულია 2017 წლის 7 ივნისში და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი პერიოდისთვის).

IAS 12 აზუსტებს, თუ როგორ აღირიცხება მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი, მაგრამ არა ამ გაურკვევლობის გავლენის ასახვას. ინტერპრეტაცია განმარტავს აღიარების მოთხოვნის გამოყენებას და შეფასებას IAS 12-ში, როდესაც ადგილი აქვს გაურკვევლობას მოგების გადასახადის მეთოდების ინტერპრეტირებისას. კომპანიამ უნდა განსაზღვროს, განიხილოს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო ინტერპრეტაცია განცალკევებულად ან სხვა გაურკვეველ საგადასახადო ინტერპრეტაციებთან ერთობლიობაში იმაზე დაფუძნებით, თუ რომელი მიდგომა უკეთესად შეესაბამება გაურკვევლობის გადასაწყვეტად კომპანიამ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს თანხებს, რომლებიც ექვემდებარება შემოწმებას და ექნება სრული ინფორმაცია, დაკავშირებული აღნიშნულ შემოწმებასთან. თუკი კომპანია დაუშვებს, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გაურკვეველ საგადასახადო ინტერპრეტაციას. თუ კომპანია ვარაუდობს, რომ საგადასახადო ორგანო არ მიიღებს გაურკვეველ საგადასახადო ინტერპრეტაციას, მაშინ გაურკვევლობის გავლენა აისახება დაბეგვრასთან დაკავშირებულ შესაბამის მოგება-ზარალში, საგადასახადო ბაზებში, გამოუყენებელ საგადასახადო დანაკარგებზე, გამოუყენებელ საგადასახადო შეღავათებზე ან საგადასახადო განაკვეთებზე, ან ყველაზე მოსალოდნელი თანხის გამოყენებით ან მოსალოდნელი ღირებულების იმის მიხედვით, თუ რომელი მეთოდია სავარაუდო გაურკვევლობის პროგნოზის მიხედვით. კომპანია ასახავს ინტერპრეტაციით მოთხოვნილი ფაქტების და გარემოებების ცვლილების გავლენას ან ახალი ინფორმაციის გავლენას მოსაზრებებსა და შეფასებებზე, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებებს. ფაქტების და გარემოებების ან ახალი ინფორმაციის ცვლილების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ გადაწყვეტილების ან შეფასების გადახედვა და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, საგადასახადო ორგანოს შემოწმებებით ან ქმედებებით, საგადასახადო ორგანოების წესების ცვლილებით ან საგადასახადო ორგანოს შემოწმების უფლების ვადის ამოწურვით ან საგადასახადო ინტერპრეტაციის პრინციპის გადახედვით. საგადასახადო ორგანოს მხრიდან საგადასახადო ინტერპრეტაციაზე თანხმობა-უთანხმოების არქონით, იზოლაციაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარმოადგინოს ცვლილებები ფაქტებსა, გარემოებებში თუ ახალი ინფორმაციის კუთხით, რომელიც გავლენას ახდენს მოსაზრებაზე და ინტერპრეტაციის მიერ მოთხოვნილ შეფასებაზე. ამჟამად კომპანია აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი

ათას ლარში	2017
ნაღდი ფული	-
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები ბანკებში	4,307
სულ ნაღდი ფული და ფულადი ექვივალენტები	4,307

6. საწესდებო კაპიტალი

ათას ლარში გარდა აქციების რაოდენობისა	გამოშვებული აქციების რაოდენობა ათასებში	ჩვეულებრივი აქციები	პრემიუმი	სულ
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-
გამოშვებული ახალი აქციები	4,300	4,300	-	4,300
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,300	4,300	-	4,300

საემისიოდ ავტორიზირებული აქციების საერთო რაოდენობა შეადგენს 4,300 ათას აქციას, თითო აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების საერთო რაოდენობა შეადგენს 4,300 ათას აქციას. ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქციის საფასური სრულად არის გადახდილი.

7. საპროცენტო შემოსავალ-ხარჯი

ათას ლარში	2017
საპროცენტო შემოსავალი	/
ბანკებიდან მიღებული	8
სულ საპროცენტო შემოსავალი	8
საპროცენტო ხარჯი	-
სულ საპროცენტო ხარჯი	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ (წმინდა საპროცენტო ხარჯი)	8

8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათას ლარში	2017
სხვა საოპერაციო ხარჯები	1
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	1

9. მოგების გადასახადი

9.1. მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები:

წლის მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი შემდეგია:

ათას ლარში	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	(1)
გადავადებული მოგების გადასახადი	-
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	(1)

9.2. ურთიერთშედარება საგადასახადო ხარჯისა და მოგება-ზარალის ხარჯი გამრავლებული მოქმედ საგადასახადო განაკვეთზე:

მოქმედი მოგების გადასახადის განაკვეთი გამოსაყენებელი კომპანიების უმრავლესობისათვის შემოსავალზე 2017 წელს შეადგენს 15%. მოსალოდნელი და ფაქტობრივი საგადასახადო ხარჯების შედარება წარმოდგენილია ქვემოთ.

ათას ლარში	2017
მოგება დაბეგვრამდე	7
თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონით გათვალისწინებული განაკვეთით (2017: 15%)	(1)
იმ პუნქტების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის არ ექვემდებარება გამოქვითვას ან დარიცხვას	-
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	(1)

9.3. გადავადებული გადასახადები გაანალიზებული დროებითი სხვაობის მიხედვით

სხვაობები IFRS-სა და საგადასახადო ნორმატივებს შორის საქართველოში იწვევს დროებითი სხვაობის წარმოშობას აქტივების საბალანსო ღირებულების და ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებებს შორის და მათ საგადასახადო ბაზას შორის. 2017 წელს კომპანიას არ აქვს მსგავსი ტიპის სხვაობები IFRS -სა და საგადასახადო ბაზას შორის.

10. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება სადაზღვევო, ფინანსურ, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. კომპანია აკონტროლებს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და შემცირებას შიდა მართვის პროცესების მეშვეობით, რისკის მართვის ინსტრუმენტებისა და პროცესების გამოყენებით ახორციელებს აღნიშნული რისკების გავლენის შემცირებას კომპანიის ფინანსურ შედეგებზე, მის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსა და რეპუტაციაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია ზოგადი პასუხისმგებლობა რისკების სტრუქტურის მართვაზე. როგორც კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანო, სამეთვალყურეო საბჭო ადგენს რისკის მართვის ზოგად მიდგომას და პრინციპებს, კომპანიის რისკის პროფილის და ადეკვატურობის შეფასების გზით, კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის ეფექტურობის შეფასების გზით, ინდივიდუალური რისკის სტრატეგიების დამტკიცებით, ადგენს რისკისადმი მიდრეკილებას და რისკის კონტროლის სტრუქტურას.

გადასახადი ხარჯი

დირექტორთა საბჭო განსაზღვრავს შესაბამის პროცედურებს ყველა დამახასიათებელი რისკის მართვისათვის, შესაბამის ბიზნეს-მიმართულებისათვის, ბიზნესის სტრუქტურირების მიზნით რისკის ასახვის კუთხით უზრუნველყოფს შესაბამისი მოვალეობების გამიჯვნას და ადეკვატურ პროცედურებს, განსაზღვრავს შესაბამისი თანამშრომლების მოვალეობებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელებასა და მონიტორინგზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ კომპანიამ განახორციელოს საქმიანობა რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასების რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის უმთავრესი ფუნქცია მოიცავს ლიმიტების დაწესებას და შემდგომ იმის უზრუნველყოფას, რომ რისკისადმი მიდრეკილება რჩება დაწესებული ლიმიტების ფარგლებში. პორტფელზე სადაზღვევო რისკის ნეგატიური გავლენის მინიმუმზაციისათვის მენეჯმენტი ახორციელებს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციას. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქცია უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების გამართულ ფუნქციონირებას, რათა შეამციროს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.

11. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს საჩივრები. საკუთარი შეფასებებისა და შიდა პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი ფიქრობს, რომ მოთხოვნებთან დაკავშირებით მოსალოდნელი არ არის რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებში რეზერვი ასახული არ არის.

გაუთვალისწინებელი გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც იყო მიღებული და მოქმედი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ზოგჯერ ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას კომპანიის საქმიანობასთან და ტრანზაქციებთან მიმართებაში. შესაბამისად, საგადასახადო კანონმდებლობის მენეჯმენტისეულ ინტერპრეტაციას და ამგვარი ინტერპრეტაციის მხარდასაჭერად მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას შეიძლება არ დაეთანხმონ საგადასახადო ორგანოები. საანგარიშო წელი საგადასახადო ორგანოების შემოწმებისათვის შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში ექვემდებარება შემოწმებას, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში საგადასახადო წელი შეიძლება უფრო დიდი ხნითაც არ დაიხუროს.

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდოდ დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ბალანსები შემდეგია:

ათას ლარში			აქციონერები	სამეთვალყურეო	დირექტორატი
ფული და	ფულის	კვავალენტები		საბჭო	
ბანკებთან			4,307	-	-

ფასუხიანი ანგარიში

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N180388699



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

12.04.2018 6

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

საუბრობა

წინა მოპიაშვილი

სანოტარო პუროს მისამართი

ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. 9

სანოტარო პუროს ტელეფონი

2933087

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

71067121508018



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის დასრულების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

წინამდებარე მოწმობაში წლის თორმეტ აპრილს, მე, ნოტარიუსი ნინო შოშიაშვილი, რომლის სანოტარო პუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 9-ში. ვადასტურებ მთარგმნელის პატრიონი პანდელაკის (დაბადებული 08.09.1974წ. რეგ. მისამართი: თბილისი დიღომის მს. II კვ. კორ. 2 ბ. 54, პირადი №01006012815, დიპლომი სერთიფიკატი №13CGE0015009 გაყვანილი კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ 2013წ.) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა ვადასტურებ მთარგმნელი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ქართული და ინგლისური ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.


12.04.2018. I, NINO SHOSHIASHVILI, the notary, the Notary office of which is located at the address: Tbilisi, 9, Leselidze str, certify that the signature of the Translator Ekaterine Kaldelaki (born on 08.09.1974, address: Apt. № 54, 2 blockhouse, quarter II, Dighomi mass., Tbilisi, personal №01006012815, Certificate №13CGE0015009, issued by Cambridge University in 2013) is genuine. I, the notary, have warned the translator that she is responsible for the translation accuracy that has confirmed she knows well Georgian and English languages and ensures the translation exactness.

გადახდილია 46-00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2011 წლის 29 დეკემბერის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 8-28 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა.

Fee paid 46-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also VAT - 8.28 GEL, according to Article 169th of Georgian Tax Code (including VAT). Also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუსი
The notary

Nino Shoshiaashvili



ნინო შოშიაშვილი/
Nino SHOSHIASHVILI

